



2023  
წელი

შპს გურამ თავართქილაძის  
სახელობის  
თბილისის სასწავლო  
უნივერსიტეტი

ენობრივი კომპტენეციის განსაზღვრის წესი

## მუხლი 1 რეგულირების სფერო

1.წინამდებარე ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის წესი (შემდგომში - „წესი“) შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) განსაზღვრავს ქვემოთ მოყვანილ საკითხებს:

ა. ერთიანი ეროვნული ან/და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველის მიერ, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენის წესს, მეთოდოლოგიას და პროცედურას;

ბ. საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტის მიერ შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენის წესს, მეთოდოლოგიას და პროცედურას.

გ. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტის მიერ, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განსაზღვრული ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენის წესს, მეთოდოლოგიას და პროცედურას;

დ. უნივერსიტეტში მობილობის გზით ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განსაზღვრული ინგლისური ენის ცოდნის დადგენის წესს, მეთოდოლოგიას და პროცედურას;

## მუხლი 2 ინგლისური ენის ცოდნის დონეების შეფასების სისტემა

1.ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენისათვის, უნივერსიტეტი სარგებლობს ენის კომპეტენციის ევროპული ჩარჩოს მიერ დამკვიდრებული კომპეტეციათა დონითა და სტანდარტით.

2.კომპეტენციის ევროპული ჩარჩოს სტანდარტის შესაბამისად, ინგლისური ენის ცოდნა დაყოფილია გარკვეულ დონეებად, რომელთაც გააჩნიათ ქვემოთ მოყვანილი მნიშვნელობა და შინაარსი:

- A Level - დაწყებითი, სუსტი კომუნიკაციის უნარი;
- B Level - დამოუკიდებელი კომუნიკაციის უნარი;
- C Level - პროფესიული კომუნიკაციის უნარი.

3. ენობრივი კომპეტენციის დონის შედეგების დეტალური შკალა:

A1	პირს შეუძლია მარტივი, ყოფითი სიტყვების, ფრაზების, მოკლე წინადადებების გაგება და გამოთქმა, ასევე საკუთარი თავის სხვებისთვის გაცნობა, მარტივი შეკითხვის ფორმულირება. მაგალითად:
----	---

	მე მქვია ნინო, თქვენ რა გქვიათ, მე ვსაუბრონ ინგლისურ ენაზე
A2	პირს შეუძლია ცალკეული წინადადებებისა და გავრცელებული ფრაზების, გამონათქვამების გაგება, გამოთქმა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანებთან კომუნიკაცია, არსებული გარემოს აღწერა.
B1	პირს შეუძლია ტიპური სფეროს ირგვლივ საუბარი, გაგება. მას ესმის ინგლისურ ენაზე არსებული საუბრის/დიალოგის არანაკლებ 70%. საუბრობს გამართული აქცენტით, თანმიმდევრულად. შეუძლია აზრის დაფიქსირება, არგუმენტაცია.
B2	პირი ახერხებს მოცულობითი ტექსტების ძირითადი აზრის გაგებას, დისკუსიის ძირითადი შინაარსის გაგებას, შეუძლია ინგლისურ ენაზე მოსაუბრებთან საუბარი, შეუძლია არგუმენტირებული. თანმიმდევრული და ლოგიკური მსჯელობა, უმნიშვნელო გრამატიკული შეცდომებით.
C1	პირს შეუძლია რთული, მოცულობითი და კომპლექსური მათ შორის სპეციფიკური, პროფესიული ტექსტების გაგება, როგორც პროფესიულ ისე სხვა ნებისმიერ სფეროში თავისუფლად, არსებითი შეცდომების გარეშე საუბრობს, აფიქსირებს თავის აზრს, მაღალ დონეზე, თითქმის უშეცდომოდ ახერხებს წერილობით კომუნიკაციას.
C2	პირი იგებს ნებისმიერი სირთულის, მათ შორის პროფესიულ ტექსტებს, შეუძლია ნებისმიერ თემაზე საუბარი, წერა, არგუმენტაცია.

**მუხლი 3 ერთიანი ეროვნული ან/და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველის ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრა**

1. სასწავლო უნივერსიტეტში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ჩარიცხვის მსურველი პირის ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრისთვის, სასწავლო უნივერსიტეტი ახდენს ენობრივი დონის განმსაზღვრელი გამოცდის ორგანიზებას. გამოცდის ფარგლებში, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ტესტირების ჩატარებას და გამოცდის ვიდეო ჩანაწერის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ხელმისაწვდომობას.

2. ერთიანი ეროვნული ან/და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, სასწავლო უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატებისთვის ინგლისური ენის კომპეტენციის დამდგენი გამოცდა შესაძლოა ჩატარდეს დინსტანციური ან არადინსტანციური ფორმით.

3. ინგლისური ენის კომპეტენციის მაღალ დონეზე დადგენის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საჭიროების მიხედვით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გააფორმოს საყოველთაოდ აღიარებულ, ავტორიტეტულ უცხო ენების შემსწავლელ ორგანიზაციასთან, გამოცდის ფარგლებში ორგანიზაციის ავტორიზებული სპეციალისტები უზრუნველყოფენ კანდიდატების ენის ცოდნის შემოწმებას.

4. არადინსტანციური გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის სივრცეში. აღნიშნული გამოცდა შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან:

**ა. ზეპირი კომუნიკაციის უნარის შემოწმება (Speaking):** გამომცდელი აფასებს კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარებს. გამოცდის დაწყებამდე კანდიდატი ვალდებულია წარუდგინოს გამომცდელს მისი პირადობის მოწმობა რათა მოხდეს კანდიდატის იდენტიფიცირება. გამომცდელი განუმარტავს კანდიდატს გამოცდის წესებს, შეფასების შესაძლო შედეგებს, შეფასების შკალას. გამოცდის დაწყებისთანავე გამომცდელი კანდიდატს უსვამს ღია კითხვებს და 30 წუთის მანძილზე ინგლისურ ენაზე ამყარებს კანდიდატთან ზეპირ კომუნიკაციას. კითხვები უნდა იყოს არანაკლებ B2 სირთულის და შეეხებოდეს სხვადასხვა სფეროს. გამოცდის აღნიშნული ეტაპის შეფასების მაქსიმალური ქულაა 70, მინიმალური ბარიერი კი 50.

**ბ. წერიტი კომუნიკაციის უნარის შემოწმება (Writing):** გამომცდელი კანდიდატს აძლევს წერით დავალებას, რომელშიც ფორმულირებულია ღია კითხვა, კანდიდატმა უნდა განავითაროს მსჯელობა და არგუმენტირებულად უპასუხოს ღია კითხვას. წერიტი დავალების მაქსიმალური სიტყვების ოდენობაა 150. წერიტი დავალების შესრულების შემდეგ კანდიდატი გამომცდელს გადასცემს ნაშრომს და გამომცდელთან ზეპირად ახდენს შესრულებული დავალების ირგვლივ შეკითხვებზე პასუხს, ანალიზს, მიმოხილვას. ესეის შეფასების მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ბარიერი 15.

**5. დინსტანციური გამოცდა შედგება ორი ნაწილისაგან:**

**ა. ზეპირი კომუნიკაციის უნარის შემოწმება (Speaking):** გამომცდელი აფასებს კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარებს, გამოცდა ტარდება პროგრამა zoom-ის საშუალებით. გამოცდის დაწყებისთანავე და მისი მიმდინარეობისას გამომცდელი უნდა ხედავდეს კანდიდატს. გამოცდის დაწყებამდე კანდიდატი ვალდებულია წარუდგინოს გამომცდელს მისი პირადობის მოწმობა რათა მოხდეს კანდიდატის იდენტიფიცირება. გამომცდელი განუმარტავს კანდიდატს გამოცდის წესებს, შეფასების შესაძლო შედეგებს, შეფასების შკალას. გამოცდის დაწყებისთანავე გამომცდელი კანდიდატს უსვამს ღია კითხვებს და 30 წუთის მანძილზე ინგლისურ ენაზე ამყარებს კანდიდატთან ზეპირ კომუნიკაციას. კითხვები

უნდა იყოს არანაკლებ B2 სირთულის და შეეხებოდეს სხვადასხვა სფეროს. გამოცდის აღნიშნული ეტაპის შეფასების მაქსიმალური ქულაა 70, მინიმალური ბარიერი კი 50.

**ბ. წერიტი კომუნიკაციის უნარის შემოწმება (Writing):** გამოცდა მიმდინარეობს პროგრამა zoom-ის საშუალებით, გამოცდის დაწყებისთანავე და მისი მიმდინარეობისას კანდიდატს ჩართული უნდა ჰქონდეს კამერა და გამომცდელს უნდა შეეძლოს მისი დანახვა. გამომცდელი კანდიდატს აძლევს წერიტ დავალებას რომელშიც ფორმულირებულია ღია კითხვა, კანდიდატმა უნდა განავითაროს მსჯელობა და არგუმენტირებულად უპასუხოს ღია კითხვას. წერიტი დავალების მაქსიმალური სიტყვების ოდენობაა 150. წერიტი დავალების შესრულების შემდეგ კანდიდატი გამომცდელს უგზავნის ნაშრომს წინასწარ მითითებულ ელ-ფოსტაზე და გამომცდელთან ზეპირად ახდენს შესრულებული დავალების ირგვლივ შეკითხვებზე პასუხს, ანალიზს, მიმოხილვას. წერიტი დავალების შეფასების მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ბარიერი 15.

6. საგანმანათლებლო პროგრამებზე ინგლისური ენის ცოდნის დადგენის გამოცდის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებენ ის პირები, რომელთა ენობრივი კომპეტენცია აღწევს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნის დონეს. წინამდებარე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული გამოცდის შეფასების კრიტერიუმები დადგენილია ამ წესის N1 დანართით.

7. პირი უფლებამოსილია ინგლისური ენის ცოდნის დონე დაადასტუროს ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენის გზით, პროგრამისთვის განსაზღვრული ინგლისური ენის დონის შესაბამისად. საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი პირისათვის მხოლოდ გასაუბრების ჩატარებას და ვიდეოჩანაწერის საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთვის ხელმისაწვდომობას;

8. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული გამოცდის დაწყებისას, კანდიდატი ვალდებულია გამომცდელს წარუდგინოს (დისტანციური ფორმატის შემთხვევაში აჩვენოს) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდეგაც გამომცდელი კანდიდატს განუმარტავს საგამოცდო წესებს. გამოცდის მიმდინარეობისას აკრძალულია:

ა. საუბარი;

ბ. ხმაური;

გ. ქესტების საშუალებით ინფორმაციის გაცვლა;

დ. ნებისმიერი მასალის, ლექსიკონის გამოყენება;

ე. მობილური ტელეფონის, პლანშეტის ან/და ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენება. იმ შემთხვევაში თუ გამოცდა მიმდინარეობს დისტანციურ ფორმატში

დასაშვებია მხოლოდ იმ ელექტრონული საშუალების გამოყენება რომლითაც ჩართულია სტუდენტი გამოცდის მიმდინარეობისას.

ვ. საგამოცდო სივრცის (დისტანციური ფორმატის შემთხვევაში ელექტრონული პროგრამიდან გასვლა) დატოვება გამოცდის მიმდინარეობისას გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობისა.

4.წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ფაქტების დაფიქსირებისას კანდიდატს ეძლევა შენიშვნა, ხელმეორედ გამეორების შემთხვევაში კი კანდიდატი მოიხსნება გამოცდიდან და ნაშრომი არ შეფასდება.

#### **მუხლი 4 ერთიანი ეროვნული გამოცდებით, მობილობით ჩარიცხული სტუდენტებისათვის ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრა**

1.ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების მიერ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენისთვის სასწავლო უნივერსიტეტი ატარებს ტესტირებას, რომლის შედეგების საფუძველზე განისაზღვრება სტუდენტის მიერ შესაბამისი ენის ცოდნის დონე.

2.სტუდენტი გამოცდის დაწყებამდე გამომცდელს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს იდენტიფიცირებისთვის, რის შემდეგაც გამომცდელი მას გააცნობს საგამოცდო წესებს.

3. გამოცდაზე აკრძალულია:

ა. საუბარი;

ბ. ხმაური;

გ. ქესტების საშუალებით ინფორმაციის გაცვლა;

დ. ნებისმიერი მასალის, ლექსიკონის გამოყენება;

ე. მობილური ტელეფონის, პლანშეტის ან/და ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენება;

ვ. საგამოცდო სივრცის დატოვება გამოცდის მიმდინარეობისას გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობისა.

4.წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფაქტების დაფიქსირებისას კანდიდატს ეძლევა შენიშვნა, ხელმეორედ გამეორების შემთხვევაში კი კანდიდატი მოიხსნება გამოცდიდან და ნაშრომი არ შეფასდება.

5. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტი, რომელსაც ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს ინგლისური ენა ვალდებულია ასევე

გამოცხადდეს ენის დამდგენ გამოცდაზე. გამოუცხადებლობის შემთხვევაში მას განესაზღვრება ენის ცოდნის დონე - A1 დონიდან;

6. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტი, რომელსაც ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს ინგლისური ენისაგან განსხვავებული ენა ვალდებულია გამოცხადდეს ენის დამდგენ გამოცდაზე, გამოუცხადებლობის შემთხვევაში მას განესაზღვრება ენის ცოდნის დონე - A1 დონიდან;

7. უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს რომელსაც არ უღიარდა გამომშვებ უნივერსიტეტში გავლილი ინგლისური ენის სასწავლო კომპონენტი, სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრისთვის აბარებს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას, რომლის საფუძველზე მას განესაზღვრება ინგლისური ენის ცოდნის დონე. ტესტირება ტარდება ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მისი ინგლისური ენის ცოდნის დონე განისაზღვრება, როგორც A1 დონე.

8. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან/და მობილობით ჩარიცხვის მსურველი პირი უფლებამოსილია ინგლისური ენის ცოდნის დონე დაადასტუროს ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენის გზით.

## **მუხლი 5 საერთო სამაგისტრო გამოცდით ჩარიცხული მაგისტრანტობის კანდიდატის ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრა**

1. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის ინგლისური ენის ცოდნის დონე განისაზღვრება შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები სამაგისტრო გამოცდის ინგლისური ენის გამოცდის შედეგებით ან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ენობრივი კომპეტენციის საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენით;

2. გამოცდაზე მაგისტრანტობის კანდიდატი წარადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის საშუალებით გამომცდელი ახდენს მის იდენტიფიცირებას, ამის შემდეგ გამომცდელი მაგისტრანტს აცნობს საგამოცდო წესებს. გამოცდაზე იკრძალება:

ა. საუბარი;

ბ. ხმაური;

გ. ქესტების საშუალებით ინფორმაციის გაცვლა;

დ. ნებისმიერი მასალის, ლექსიკონის გამოყენება;

ე. მობილური ტელეფონის, პლანშეტის ან/და ნებისმიერი ტექნიკური საშუალების

გამოყენება (გამოცდის დისტანციური ფორმატის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია

გამოიყენოს მხოლოდ ის ტექნიკური საშუალება რომლის საშუალებითაც მონაწილეობს

საგამოცდო პროცესში);

3. საგამოცდო სივრცის (გამოცდის დისტანციური ფორმატის შემთხვევაში შესაბამისი პროგრამიდან გასვლა) დატოვება გამოცდის მიმდინარეობისას გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობისა.

3.წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფაქტების დაფიქსირებისას მაგისტრანტობის კანდიდატს ეძლევა შენიშვნა, ხელმოწერა გამოცდის შემთხვევაში კი კანდიდატი მოიხსნება გამოცდიდან და ნაშრომი არ შეფასდება.

4.სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვისთვის, შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დონის დასადგენად უნივერსიტეტი ატარებს გამოცდას, გამოცდა შედეგება ორი ეტაპისაგან:

ა.პირველი ეტაპი: - მეტყველების უნარების შემოწმება. აღნიშნული ეტაპი ტარდება მაგისტრანტობის კანდიდატთან გამომცდელის ინდივიდუალური გასაუბრების ფორმით. შესაძლოა ჩატარდეს პირსიპირ ან/და დისტანციურად შესაბამისი ელექტრონული საშუალებით. ქულათა მაქსიმალური ოდენობაა 25. შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება ამ წესის დანართი N2-ით.

ბ.მეორე ეტაპი - ტესტირება. აღნიშნული ეტაპი ტარდება წერიითი ფორმით და ამოწმებს შემდეგ უნარებს: მოსმენა, წერა, კითხვა. ტესტის მაქსიმალური შეფასებაა 75 ქულა. აღნიშნული ეტაპის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება წინამდებარე წესის დანართი N2-ით.

5.წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კომპონენტებისთვის, შედეგების მინიმალური ბარიერია 51 ქულა.

6.მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის დამდგენი გამოცდისაგან ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში:

ა. პირს საბაკალავრო ან/და სამაგისტრო განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე და ეს დასტურდება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით და პირმა წარმოადგინა დიპლომი და დიპლომის დანართი;

ბ. მაგისტრანტს აქვს და წარმოადგენს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ინგლისური ენის ფლობის დონის დამადასტურებელ ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ სერთიფიკატს.

### **მუხლი 6 მობილობით ჩარიცხული პირის ინგლისური ენის ცოდნის განსაზღვრა**

1.მობილობით ჩარიცხვის მსურველი, რომელიც გამომგზავნ უნივერსიტეტში ჩარიცხვა შესაბამისი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აბარებს ქართული/ინგლისური ენის ცოდნის დამდგენ გამოცდას, რითაც დასტურდება პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ენის ცოდნა. გამოცდა ტარდება წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება ეძლევათ იმ პირებს რომლებიც ზემოთ აღნიშნული ინგლისური ენის ცოდნის დამდგენი გამოცდის შედეგების შესაბამისად დაადასტურებენ ენის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დონეზე ცოდნას;



2. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირი უფლებამოსილია ენობრივი კომპეტენცია დაადასტროს ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის გზით. ასეთი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში პირი თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისგან.

**მუხლი 7 უნივერსიტეტის სტუდენტისათვის ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრა**

1. პირი რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლობს პროგრამით გათვალისწინებულ ინგლისურ ენას და მიიჩნევს რომ მისი ცოდნა არ არის მისთვის განსაზღვრული ენის ცოდნის დონის შესაბამისი, უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს განაცხადით და მოითხოვოს ენის ცოდნის განსაზღვრა;

2. ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრა ხდება ტესტირების გზით, ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;

3. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დროს, თუ სტუდენტმა საგანმანათლებლო პროგრამის ინგლისური ენის ცოდნის დონე დაადასტურა ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული საერთაშორისო სერტიფიკატის მოპოვებით, ის უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს განცხადებით, წარმოადგინოს შესაბამისი უცხო ენის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, რის საფუძველზე, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიმართებით, რექტორის სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) შექმნილი კომისია იმსჯელებს სტუდენტისთვის ინგლისური ენის შესაბამისი დონიდან სწავლის გაგრძელების ან ენის კომპონენტისგან განთავისუფლების შესახებ.

**მუხლი 8 ინგლისური ენის ცოდნის დონის დამდგენი საერთაშორისო სერტიფიკატები.**

1. სტუდენტი/აბიტურიენტი უფლებამოსილია ენობრივი კომპეტენციის დონის დასადგენად წარმოადგინოს შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი;

2. ინგლისური ენის კომპეტენციის დამდგენი საერთაშორისო სერტიფიკატების განეკუთვნება ქვემოთ მოყვანილი სერტიფიკატები:

უცხო ენა	სერტიფიკატი
ინგლისური ენა	CEFR B2, IELTS exam – 5 BEC exam and CELS exam – Vantage;  Cambridge exam – FCE;

	<p>Pritman ESOL International;</p> <p>TOEIC – 600;</p> <p>TOEFL– 510 (paper - based) 173 (computer - based) 61 (internet – based)</p>
--	---

### მუხლი 9 ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის წესი

1. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენა ხდება უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის მეშვეობით.
2. ამ წესით გათვალისწინებული ცალკეული გამოცდის ორგანიზებისთვისა და ჩატარებისთვის უნივერსიტეტი უფლებამოსილია სარგებლობდეს შესაბამისი პარტნიორი ორგანიზაციის მომსახურებით, გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.
3. ცალკეული გამოცდის ორგანიზებისთვის რექტორი გამოსცემს ბრძანებას რომლითაც განსაზღვრავს:
  - ა. საგამოცდო კომისიას;
  - ბ. გამომცდელებს;
  - დ. შემფასებლებს;
  - ე. სააპელაციო კომისიას;
  - ვ. საგამოცდო ვადებს.

### მუხლი 10 გამოცდის შედეგების გასაჩივრება

1. ენობრივი კომპეტენციის დასადგენი გამოცდის შედეგები ეცნობება კანდიდატს გამოცდის/გამოცდელების ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში;
2. კანდიდატი უფლებამოსილია გაასაჩივროს გამოცდის შედეგები გაცნობიდან 3 (სამი) დღის ვადაში. სააპელაციო განაცხადს განიხილავს რექტორის ბრძანებით შექმნილი დროებითი სააპელაციო კომისია. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდნენ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, შესაბამისი დარგის (ინგლისური ენის) სპეციალისტი.
3. ენობრივი კომპეტენციის დადგენის გამოცდის საბოლოო შედეგები ეცნობება პირს სააპელაციო განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში.

დანართი N1

ერთიანი ეროვნული ან/და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველის/მობილობის მსურველის/სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის დონის გამოცდის შეფასების კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმები

1. ზეპირი კომუნიკაციის უნარის შემოწმება (Speaking)

ქულა	მეტყველება	გრამატიკული გამართულობა	თემის მიმოხილვის უნარი
61-70 ქულა	მეტყველებს გამართულად, თავისუფლად, გამოთქმა არის სრულყოფილი და დახვეწილი	მეტყველებს გრამატიკული შეცდომების გარეშე.	შეუძლია თემის მიმოხილვა, გასაგებ ენაზე მოსაზრების გადმოცემა.
51-60 ქულა	მეტყველებს გამართულად, გამოთქმისას უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს.	მეტყველებს უმნიშვნელო, მცირე გრამატიკული შეცდომებით.	შეუძლია თემის მიმოხილვა, გასაგებ ენაზე.
41-50 ქულა	მეტყველებს საშუალოდ, გამოთქმისას უშვებს ცალკეულ არსებით შეცდომებს.	მეტყველებს ცალკეული გრამატიკული ცდომილებებით.	შეუძლია თემის გასაგებ ენაზე მიმოხილა, თუმცა შედარებით მწირი ლექსიკით.
31-40 ქულა	ცალკეულ შემთხვევებში უჭირს თავისუფლად მეტყველება, თუმცა შეუძლია აზრის გადმოცემა, მეტყველებისას აღენიშნება არაერთი,	მეტყველებს მრავალი გრამატიკული ცდომილებით.	უჭირს თემის მიმოხილვა თუმცა ჯამში მისი მოსაზრება გასაგებია მსმენელისთვის.

	არსებითი ცდომილება სიტყვათა გამოთქმისას.		
21-30 ქულა	უჭირს თავისუფლად მეტყველება, თუმცა ჯამში მისი მოსაზრება გასაგებია	მეტყველებს სუსტად, უხეში გრამატიკული შეცდომებით.	უჭირს თემის მიმოხილვა, ცლაკეულ შემთხვევებში მისი მოსაზრებები გაუგებარია.
1-20 ქულა	ძირითადად ვერ გადმოსცემს აზრს, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში ახდენს აზრის ფორმულირებას, საჭირო გამონათქვამებით.	მეტყველებს მრავალი, უხეში, არსებითი გრამატიკული შეცდომებით	ვერ ახდენს თემის მიმოხილვას
0 ქულა	საერთოდ ვერ მეტყველებს მსმენელისთვის გასაგებად.	სრულად ვერ ახდენს გრამატიკულად გამართულად საუბარს.	ვერ ახდენს თემის მიმოხილვას

## 2. წერითი კომუნიკაციის უნარი (Writing)

ქულა	მართლწერა	ლექსიკა და გრამატიკა	მსჯელობის თანმიმდევრულობა
25-30 ქულა	წერს სრულად გამართულად.	წერს მდიდარი ლექსიკით, გრამატიკული შეცდომების გარეშე	მსჯელობა არის ლოგიკური, თანმიმდევრული
20-24 ქულა	წერს გამართულად, აღნიშნება ცალკეული უმნიშვნელო მართწერის შეცდომები.	მთლიანობაში ნაწერი გრამატიკულად გამართულია, თუმცა აქვს უმნიშვნელო გრამატიკული ცდომილებები	მსჯელობა არის ლოგიკური და თანმიმდევრული
14-19 ქულა	ჯამში ნაშრომი	ნაშრომში აღინიშნება	მსჯელობა

	გამართულია, აღნიშნება რამდენიმე მართლწერის შეცდომა.	რამდენიმე გრამატიკული ცდომილება, ლექსიკა მწირია.	ლოგიკურია, ნაკლებად თანმიმდევრული ან/და შეკვეცილი
1-13 ქულა	ნაშრომს აღნიშნება არსებითი ცდომილებები მართლწერაში	ნაშრომს აღნიშნება მრავალი გრამატიკული ცდომილება, ლექსიკა ძალზე მწირია.	მსჯელობას აკლია თანმიმდევრულობა. არსებითი პრობლემებია სილოგიზმში.
0 ქულა	ნაშრომი სრულად ვერ აკმაყოფილებს მართლწერის მინიმალურ სტანდარტებს/	ნაშრომს აქვს უხვი გრამატიკული ცდომილება, ლექსიკა ძალზე მწირია.	მსჯელობა საერთოდ არ გვხვდება ნაშრომში

## დანართი N2

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი ინგლისური ენის გამოცდა  
შეფასების კრიტერიუმები

### 1. ზეპირი კომუნიკაციის უნარის შემოწმება (Speaking)

ქულა	მეტყველება	გრამატიკული გამართულობა	თემის მიმოხილვის
------	------------	-------------------------	------------------

			უნარი
20-25	მეტყველებს გამართულად, თავისუფლად, გამოთქმა არის სრულყოფილი და დახვეწილი	მეტყველებს გრამატიკული შეცდომების გარეშე.	შეუძლია თემის მიმოხილვა, გასაგებ ენაზე მოსაზრების გადმოცემა.
15-19	მეტყველებს გამართულად, გამოთქმისას უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს.	მეტყველებს უმნიშვნელო, მცირე გრამატიკული შეცდომებით.	შეუძლია თემის მიმოხილვა, გასაგებ ენაზე.
10-14	მეტყველებს საშუალოდ, გამოთქმისას უშვებს ცალკეულ არსებით შეცდომებს.	მეტყველებს ცალკეული გრამატიკული ცდომილებებით.	შეუძლია თემის გასაგებ ენაზე მიმოხილა, თუმცა შედარებით მწირი ლექსიკით.
5-9	უჭირს თავისუფლად მეტყველება, თუმცა ჯამში მისი მოსაზრება გასაგებია	მეტყველებს სუსტად, უხეში გრამატიკული შეცდომებით.	უჭირს თემის მიმოხილვა, ცალკეულ შემთხვევებში მისი მოსაზრებები გაუგებარია.
1-4	ძირითადად ვერ გადმოსცემს აზრს, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში ახდენს აზრის ფორმულირებას, საჭირო გამონათქვამებით.	მეტყველებს მრავალი, უხეში, არსებითი გრამატიკული შეცდომებით	ვერ ახდენს თემის მიმოხილვას
0	საერთოდ ვერ მეტყველებს მსმენლისთვის გასაგებად.	სრულად ვერ ახდენს გრამატიკულად გამართულად საუბარს.	ვერ ახდენს თემის მიმოხილვას

## 2. წერიტი კომუნიკაციის უნარი (Writing)

ქულა	მართლწერა	ლექსიკა და გრამატიკა	მსჯელობის თანმიმდევრულობა
62-75	ნაშრომი არის სრულად გამართული, არ აღენიშნება მართლწერის ხარვეზები.	ნაშრომი არის ლექსიკით მდიდარი, გრამატიკულად სრულად გამართული	მსჯელობა ლოგიკური, თანმიმდევრული, ვრცელი
49-61	წერს სრულად გამართულად.	წერს მდიდარი ლექსიკით, გრამატიკული შეცდომების გარეშე	მსჯელობა არის ლოგიკური, თანმიმდევრული, თუმცა ოდნავ შეკვეცილი
36-48	წერს გამართულად, აღენიშნება ცალკეული უმნიშვნელო მართლწერის შეცდომები.	მთლიანობაში ნაწერი გრამატიკულად გამართულია, თუმცა აქვს უმნიშვნელო გრამატიკული ცდომილებები	მსჯელობა არის ლოგიკური და თანმიმდევრული
21-35	ჯამში ნაშრომი გამართულია, აღინიშნება რამდენიმე მართლწერის შეცდომა.	ნაშრომში აღინიშნება რამდენიმე გრამატიკული ცდომილება, ლექსიკა მწირია.	მსჯელობა ლოგიკურია, ნაკლებად თანმიმდევრული ან/და შეკვეცილი
1-20	ნაშრომს აღენიშნება არსებითი ცდომილებები მართლწერაში	ნაშრომს აღენიშნება მრავალი გრამატიკული ცდომილება, ლექსიკა ძალზე მწირია.	მსჯელობას აკლია თანმიმდევრულობა. არსებითი პრობლემებია სილოგიზმში.
0	ნაშრომი სრულად ვერ აკმაყოფილებს	ნაშრომს აქვს უხვი გრამატიკული	მსჯელობა საერთოდ არ გვხვდება

	მართწერის მინიმალურ სტანდარტებს/	ცდომილება, ლექსიკა ძალზე მწირია.	ნაშრომში
--	-------------------------------------	-------------------------------------	----------